

ავტობიოგრაფია

მე, ემზარ კაკულია, საქართველოს მოქალაქე, დავიბადე 1967 წლის 1 სექტემბერს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გულრიფშის რაიონში, სოფ. ბაღმარანში, მოსამსახურეების ოჯახში. ვარ აფხაზეთის ომის მონაწილე, უპარტიო. გ ვარი არ შემიცვლია.

1974 წელს შევედი და 1984 წელს წარჩინებით დავამთავრე გულრიფშის რაიონის სოფ. ბაღმარანის საშუალო სკოლა.

1985 წელს შევედი და 1992 წელს დავამთავრე ასტრახანის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი ქ. ასტრახანში, რუსეთის ფედერაცია. 1992 წელს აფხაზეთში განვითარებული საომარი მოქმედებების გამო ვერ მოვახერხე რუსეთის ფედერაციაში ჩასვლა და ზემოთ აღნიშნულ უნივერსიტეტში სადიპლომო ნაშრომის დაცვა.

1992 წელს შევედი და 1998 წელს ქ. თბილისში დავამთავრე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი სპეციალობით წარმოების ეკონომიკა და მართვა. მომენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1999 წელს ჩავირიცხე და 2004 წელს დავამთავრე ვ. მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. დაცული მაქვს ხარსხი თემაზე: „საინოვაციო საქმიანობის რეგიონული პრობლემები საქართველოში“. სადისერტაციო საბჭოს 2004 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით მომენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

2006 წლიდან ვარ ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. მაქვს ასოცირებული პროფესორის სამეცნიერო წოდება. ვარ ორმოცდათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით. ასევე მონოგრაფიის („საინოვაციო საქმიანობის მართვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“) და სახელმძვანოლოს („ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა“- სასწავლო სალექციო კურსის უმაღლესი სასწავლებლებისათვის) ავტორი.

ჩემი შრომითი ბიოგრაფია უკავშირდება საჯარო და აკადემიურ საქმიანობას. 1992 წლიდან დღემდე მაქვს 30 წელზე მეტი შრომითი გამოცდილება, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. *კონკრეტულად შრომითი საქმიანობის დაწყების და დაკავებული თანამდებობის მითითება აღწერილია ჩემს მიერ წარმოდგენილი პროფესიული ბიოგრაფიის CV - ში.*

2008 წლიდან ვარ საარჩევნო ადმინისტრაციის სერთიფიცირებული მოხელე. 2012-2016 წლებში ვიყავი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი. მონაწილეობა მიღებული მაქვს ოცზე მეტ საარჩევნო მისიაში, სასწავლო პროგრამაში და კონფერენციებში. ვარ bridg-ის სერთიფიცირებული საარჩევნო სისტემების ექსპერტი.

ამჟამად ვმუშაობ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. მიმყავს სასწავლო კურსი მიკროეკონომიკაში და მაკროეკონომიკაში. ასევე თბილისის თავისუფალ აკადემიაში მიკავია ასოცირებული პროფესორის თანამდებობა.

მე და ჩემს უახლოეს ნათესავებს (მშობლები, მეუღლე, შვილები, და, ძმები) არ გვაქვს ნასამართლეობა.

ვცხოვრობ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვარკეთილის მესამე მასივი, პირველი კვარტალი, კორპუსი - 2, ბინა - 15.

ვარ დაოჯახებული. მყავს ცოლი და ორი ვაჟიშვილი.


ცოლი - ლამზირა გიორგის ასული ზოდელავა, დაბადებული 1967 წლის 10 იანვარს ქ. სოხუმში. ექიმი. აფხაზეთის საოჯახო მედიცინის ცენტრის დირექტორი.

შვილი - ლაშა ემზარის ძე კაკულია, დაბადებული 1987 წლის 11 დეკემბერს ქ. სოხუმში. ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

შვილი - ნიკოლოზ ემზარის ძე კაკულია, დაბადებული 1992 წლის 28 ნოემბერს ქ. სოხუმში. ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი. სს „ვაბაკოს“ ფინანსური მენეჯერი.

პატივისცემით

ემზარ კაკულია



01.07.2021 წელი